# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— ხუთშაბათი, 6 აპრილი 1900 წ. № 1092

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
| --- | --- |
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | **გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.** |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

---

### საუკეთესოდ მოწყობილი
## სტამბა
### წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა
### იღებს ყოველგვარ
## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

---

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

---

## სახალხო სმირნოვა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება ქნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—25)


### პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ

პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირსშესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკითხულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.

ადრესისა და სასყიდელის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. (რ 0—1)

---


ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ. 0—41)

---

## „შუამავლის“

ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის გამგეობას აქვს პატივი აუწყოს ბ. ბ. ამხანაგობის წევრთა და პატივცემულ საზოგადოებას, რომ მის მაღაზიაში (თამამშევის ქარვასლა, პუშკინის ბაღის პირდაპირ) **ისყიდება პირიანად** ყოველგვარი საუკეთესო ბაკალეული, გასტრონომიული საქონელი და სასმელეული, აგრეთვე სააღდგომოდ ყველა საჭირო სანოვაგეულობა და პასქები. ნ. 3—3


---

### მთავრობის განკარგულებანი

**უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას:**

78-ის ნევაგინის საქვეითო პოლკის პოდპრაპორშჩიკს ზუბალაშვილს ებოძა პოდპორუჩიკობა.

260-ის არდაგანის ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი ქაჯაია გადაყვანილ იქმნა 257 სარეზერვო ფოთის პოლკში.

ახალანდუზის სარეზერვო ბატალიონის კაპიტანი თავ. ანდრონიკაშვილი დაინიშნა ტიხვინის სამაზრო სამხედრო ბეგარის მმართველობის უფროსის თანამდებ. აღმასრულებლად.

მე-16 სამეგრელოს გრენადერთა პოლკის პოდპრაპორშჩიკს თავ. ანდრონიკაშვილს ებოძა პოდპორუჩიკობა.

**უმაღლესი ბრძანება სამოქალაქო უწყებას:**

სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილების მოხელეს ტიტ. სოვ. ლომიძეს ებოძა კოლლეჟსკი ასესორობა.

ტფილისის საგუბერნიო ხაზინის ბუჰგალტერს კოლეჟ. სეკრეტარს ანანიაშვილს ებოძა ტიტულ. სოვეტნიკობა.

ტფ. სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელეთ კორინთელს და ინაშვილს ებოძათ კოლეჟ. რეგისტრატორობა.

---

## ახალი ამბავი

✦ გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება კავკასიის მთავარ-მართებლის **უფლებათა გაფართოვების შესახებ:** ამ უფლებით მთავარმართებელს ნება ეძლევა მოუმატოს ამიერ-კავკასიის ქალაქის საბჭოების ხმოსნებს ან რწმუნებულებს არა-ქრისტიანთაგან მეტი რიცხვი, ვიდრე ნაჩვენებია საქალაქო დებულების მე-44 მუხლში, მიუხედავად იმისა, რამდენი არა-ქრისტიანი მცხოვრებია ამა თუ იმ ქალაქში.

✦ კავკასიის მინერალურ წყლების დირექტორად, გარდაცვალებულის ვ. ა. ბაშკიროვის მაგიერ, დაინიშნა სამიწად-მოქმედო სამინისტროს სამეურნეო საბჭოს წევრი ვ. ვ. **ხვოშჩინსკი.**

✦ ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან **დაზარალებულთა** სასარგებლოდ 1-ლ აპრილამდე შემოსულა შეწირულება 207,000 მანათი.

✦ ფოთის ქალაქის თვით-მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინა-

შე იმის შესახებ, რომ დაენიშნოს ფოთის ყოველ წლიურ შემწეობად 15,000 მანათი სხვა-და-სხვა საქალაქო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად იმ თანხიდან, რომელიც გროვდება ფოთში შემოტანილ საქონელზე დადებულის გარდასახადიდან.

✦ საერო განათლების სამინისტროს წარედგინა ფოთის ქალაქის თვით-მმართველობის თხოვნა იმის შესახებ, რომ ქალაქ ფოთს მიეცეს **სესხად** ხაზინიდან 40.000 მ. საქალაქო სასწავლებლისთვის შენობის ასაგებად იმ პირობით, რომ ეს სესხი გარდახდილ იქმნას ქალაქის თანხებიდან ყოველწლიურად 2,000 მანეთის გადადებით და 4 პროცენტის შეტანით.

✦ ტფილისისა და ბაქოს გუბერნიებში და დაღესტნის ოლქში **კალიის** გასაწყვეტად წელს ხაზინას გადაუდვია 14,600 მანათი.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ მომავალ კვირაში ტფილისში ჩამოვა ცნობილი პროფესსორი **დოკუჩაევი**, რომელიც წაიკითხავს რამდენიმე საჯარო ლექციას ამიერ-კავკასიის შესახებ.

✦ 12 აპრილს, ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის დარბაზში, დანიშნულია საზოგადო **კრება რუსეთიდან გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა.** განსახილველი საგნები: 1) საზოგადოების საქმეთა მდგომარეობა, 2) კასსის ანგარიში და 3) ახალის წევრების არჩევა.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს ამიერ კავკასიის გუბერნიებიდანა და ოლქებიდანაც დაიბაროს გაზაფხულიდან შემოდგომამდე, დრო გამოშვებით, ცნობები **ნათესურების მდგომარეობას შესახებ** იმ წესითა და რიგით, როგორც არსებობს რუსეთის შიდა გუბერნიებში.

✦ სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაუწყვეტია დააწესოს **ახალი თანამდებობანი:** მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის უფროსისა და უმცროსის სპეციალისტებისა, უფროსის და უმცროსის ინსტრუქტორებისა და მასტერებისა. ეს მოხელენი ვალდებულნი იქმნებიან ხოლმე იარონ სოფლებში, უფასო დარიგება მისცენ ხალხს, იკითხონ საჯარო ლექციები, გამართონ გამოფენები, გააკეთონ სანიმუშო ფერმები და სხვა.

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას გარდაუწყვეტია 30 მანათის წიგნი გაუგზავნოს **სახალინზე** მყოფ ქართველთა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისათვის.

✦ ტფილისის სავაჭრო-სამანუფაქტურო კომიტეტს შეუმუშავებია პროექტი **ტფილისის** მომავალ **სავაჭრო სასწავლებლის** მასწავლებელთა შტატებისა. პროექტით, სკოლის გამგედ იქმნება უმაღლეს სასწავლებელში კურს-დამთავრებული ინსპექტორი; მასწავლებლად შეიძლება იქმნენ საშუალო და სამოქალაქო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. მასწავლებელთ, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების დიპლომებით დაენიშნებათ კვირაში 12 გაკვეთილისთვის წელიწადში 840, 960, 1080 და 1200 მან.; სამოქალაქო სასწავლებელთა დიპლომიანებს კი—670, 720 და 840 მან., ინსპექტორს დაენიშნება, გარდა გაკვეთილების ჯამაგირისა, 500 მან. წელიწადში.

✦ საგუბერნიო ვეტერინარი ბ-ნი მაკარივი გაემგზავრა სიღნაღის მაზრაში, რათა მიიღოს ზომები **საქონლის ჭირის წინააღმდეგ.**

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ მიხაილოვიდან ბათუმამდე ნავთის **მილის** გაყვანა **დასრულდა.** გზათა სამინისტრომ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსს—გასინჯოს და გამოსცადოს ახლად-გაკეთებული მილი.

✦ ტფილისის საქალაქო **ცენტრალური საავადმყოფო** დახურული იქნება დღეს, დიდ-ხუთშაბათს და აღდგომის პირველ სამ დღეში.

✦ შაბათს, 1 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა ტფილისის მოქალაქის გაბრიელ **გებუამის საქმე**, რომელსაც ჰბრალდებოდა ყალბ ვერცხლის მანეთიანის მოჭრა და რომელსაც ტფილისის ოლქის სასამართლომ მიუსაჯა 6 წლით კატორღა. პალატამ ეს განაჩენი დაამტკიცა.

✦ ტფილისში არსებულ ოფიცერთა დამხმარებელ მაზოგადოებას დაუდგენია აღარ მიიღოს სამსახურში **ებრაელები.**

✦ 27 მარტს, „ივერიის“ სიტყვით, ზუგდიდში დაიწყო მოქმედება ახლად დაარსებულმა **საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ.** ხსენებულის საზოგადოების წესდების, რომელიც დამტკიცებულია ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ 1 ოქტომბერს 1899 წ., პირველი მუხლი გვაცნობებს, რომ საზოგადოებას აზრადა აქვს აღმოუჩინოს სააღებ-მიცემო კრედიტი თავისს წევრებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც მისდევს აღებ-მიცემობას, წარმოებასა და მეურნეობას.

პირველ საზოგადო კრებაზე გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. ი. კემილავა, წევრებად ნ. ზ. დაეითაია და მ. გ. კარტოზია; საბჭოს დეპუტატებად — ი. მ. მეუნარგია, ლ. ი. თავ. ჩიჩუა, ა. ლ. დგებუაძე, ს. ნ. ჯიქია და კ. კ. დარასელია. არჩეულ იქმნა აგრეთვე სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და ათი წევრი მისაღები კომიტეტისა.

✦ ჩვენ მოგვივიდა მე-II წიგნი აკაკის ჟურნალის **„კრებულისა“** შემდეგის შინაარსით:

განყოფილება პირველი:

1) „გამოთხოვება“, (ლექსი) აკაკისა; 2) „თანამედროვე თავადი“, ლექსი მისივე; 3) „სიტყვა, წარმოთქმული გიორგი წერეთლის საფლავზე“, მისივე; 4) „გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი“, ს. ქვარიანისა; 5) *** ლექსი სისონა მეჩანგურესი; 6) „დამშრალი წყარო“, (ოცნება) მეგრელ-ქართველისა; 7) „ჰო, თუ არა“, ყ. ედიშერიშვილისა; 8) *** ლექსი, თომაშვილისა; 9) „ქართველთა უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში“ (მეცნიერ მორგანის აზრი), ს. ქვარიანისა; 10) „ისტორია ქართულ გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემისა“, ზ. ჭ.—სა; 11) „პროგრამმა ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობების შესაკრებად“, დასასრული ალ. ხახანაშვილისა; 12) „გუჯარი“, გაგრძელება პ. კ.—ისა; 13) „კარაბადინი სამხატვრო წამლებთათვის“; განყოფილება მეორე: 1) „სოფელი წესი“ დ „ხალხური“, წარმოდგენილი ივ. ქიქინაძისაგან; 2) „სოლომონ ბრძენი“, ხალხური ლექსი; 3) „ფშავური ლექსები“, შეკრებილი გრ. აფშინაშვილის მიერ და 4) განცხადებანი:

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**4 აპრილი**

**ლონდონი.** „სტანდარტ“-ს ბლუმფონტენიდან სწერენ, რომ ბურების ჯარმა, რომელმაც ვეპერენს ალყა შემოარტყა, უკან დაიწია; „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ეს ამბავი მართალია; ესვე გაზეთი ამბობს, რომ ბურების ჯარის უმეტესობა უკან იწევს, ხოლო 6000 კაცი წინ მიდის ბეტულიისაკენ.

„ტაიმს“ ს[illegible]ენ ბლუმფონტენიდან, რომ ბურების ჯარი, რომელიც ვეპერენთან იდგა, იწევს სამხრეთისაკენ, მაგრამ არავინ იცის ამ მოძრაობის მიზეზიო.

„ტაიმს“-ს მეფეკინგიდან დეპეშით აცნობებენ, რომ სმიტმანი დაბრუნდა ბანაკში და ზარბაზნების სროლა კვლავ დაიწყო; ხუთი ზარბაზანი ბურებისა თავს დაჰყურებს ქალაქის დასავლეთ სიმაგრეებს. რამდენია მოკლულ-დაჭრილი, არას იტყობინებიან.

**ბუხარესტი.** გუშინ შესწყდა პალატის სხდომები.

**წმ. ელ. კუნძული.** დღეს ნაპირზე გადმოსვეს გემიდან პირველი პარტია ტყვე-ბურებისა, რომელნიც დაბინავებულ იქმნენ საგანგებოდ დაარსებულ ბანაკში დედვუდთან. ბანაკში ტყვეთ დახვდნენ სამხედრო მუსიკით. ტყვენი მხიარულად არიან და კმაყოფილნი იმისა, რომ ისევ ხმელეთზე არიან. ექვსი მათგანი, ავადმყოფი ხუნაგით და ცხრა—წითელათი, გაიგზავნენ სამხედრო საავადმყოფოში. პოლკოვნიკი შილი გაანთავისუფლეს ციხიდან და გაგზავნეს ტყვეთა ბანაკში.

**ჰააგა.** ბურების მისსიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ვერავითარ ცნობებს ვერ მისცემს ჟურნალისტებს მისსიის ევროპაში მოსვლის მიზეზების შესახებ. დღემდის მისსია იღებს მხოლოდ იმათ, ვისაც რაიმე ინტერესი აქვს სამხრეთ-აფრიკის საქმეებში. მისსის წევრებს იმედი აქვთ, რომ დედოფალი მიიღებს მათ, მაგრამ ჯერ ეს საკითხი არ გარდაწყვეტილა. გუშინ საღამოს მისსიის წევრები სტუმრად იყვნენ ტრანსვაალის უწინდელ ელჩის ქვრივთან. ხვალ მისსია სასტუმროში მიიღებს იმ პირთა, ვისაც ჰსურს თავისი აზრი წარმოსთქვას სამხრეთ-აფრიკის საქმეებისა გამო.

**თეირანი.** ჯუანრუს ოლქის სხვა და სხვა ადგილებში, ოსმალეთის საზღვართან ახლო, ქირმანშაჰიდან 40 მილის მანძილზე ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, გაჩნდა შავი ჭირი. სამი კვირის განმავლობაში ჭირისაგან მომკვდარა 195 კაცი.

**კოპენჰაგენი.** უელსის პრინცი ხუთშაბათს დილით საგანგებო მატარებლით მიდის ლონდონში. მეფის მთელი ოჯახი გააცილებს პრინცს რესკილდში, სადაც ის დაათვალიერებს დედოფლის ლუიზას საფლავს. უელსის პრინცესსა კი დარჩება აქ რამდენიმე დღე.

**პარიზი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაათვალიერა დღეს გამო-

ფენის რუსეთის განყოფილება. რუსეთის პავილიონის შესავალთან ლუბეს მიეგებნენ: პარიზში მყოფი რუსეთის ელჩი თავ. ურუსოვი, რუსეთის გამოფენის განყოფილების უმთავრესი კომისარი თავ. ტენიშევი, რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე სიმონოვი, რუსეთის საელჩოსა და ახალშენის წარმომადგენელნი. იქვე გამწკრივებულნი იყვნენ ზღვაოსნები და მუშები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის განყოფილების აშენებაში. უკანასკნელნი მიეგებნენ პრეზიდენტს „ურას“ ყვირილით. თავ. ურუსოვმა მადლობა გარდაუხადა პრეზიდენტს იმის გამო, რომ მან პირველად რუსეთის განყოფილება ინახულა; შემდეგ გაჰყვა პრეზიდენტს და უჩვენა მას განყოფილების დარბაზები, სადაც გამოფენილია რუსეთის მრეწველობის, მეურნეობის და ხელოვნების ნაწარმოებნი. უმთავრეს დარსაზში მოთავსებულია მშვენივრად გაკეთებული საფრანგეთის რუქა სხვა და სხვა ფერ ძვირფას ქვებიდან. პრეზიდენტმა სთქვა, რომ ის მეტად გახარებული ვარ ამგვარის საჩუქრის მიღებით და რომ საჩუქარი ძვირფასი იქმნება მთელის ერისათვის; საჩუქარი ეს გვაჩვენებს ნათლად სიმტკიცეს ორ ერთა შორის არსებულს მეგობრობისაო. ლუბემ დაუმატა, რომ რუქა მის შემდეგ, როდესაც მისის ცქერით დატკბებიან მნახველნიო, მოთავსებულ იქმნება ლუვრის მუზეუმშიო. ამ დროს რუსეთის სამხედრო მუსიკის ხორომ აღასრულა მარსელიეზა და რუსეთის სახალხო ჰიმნი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაათვალიერა შემდეგ დარბაზები—კავკასიისა, ციმბირისა, სამრეწველო, ხელოვნებისა და სხვები და ბოლოს გადვიდა რუსულს დარბაზში. ზარები რეკდნენ განუწყვეტლად, სანამ პრეზიდენტი რუსეთის განყოფილებას ათვალიერებდა. ლუბე წავიდა გამოფენიდან 11 საათსა და 30 წ.. დამსწრენი ჰყვიროდნენ „გაუმარჯოს საფრანგეთს, გაუმარჯოს პრეზიდენტსაო“.

### 5 აპრილი

**ჰააგა.** ხმა არის, რომ ბურების მისსის აქ მოსვლას არა აქვს რაიმე განსაკუთრებული მიზანი, არამედ იგი ასრულებს საზოგადო პროგრამმას, რომელიც შესდგება იმაში, რომ მისსიამ უნდა მოიაროს ევროპიის სახელმწიფოები და აღასრულოს მინდობილებანი სამხრეთ აფრიკის ორსავე რესპუბლიკებისა ევროპიის უმთავრეს სახელმწიფოთა მიმართ. ტრანსვაალის ელჩად ნამყოფის ქვრივმა გუშინ ბურების მისსიას გაუმართა საღამო, რომელსაც დაესწრო მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი.

**პეტერბურგი.** გუშინ დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ დაათვალიერა პავლოვის სასწავლებელი.

**ბელფასტი.** დედოფალმა უარი განაცხადა ბელფასტში წასვლაზე, რადგანაც მას გარდაწყვეტილი აქვს ირლანდიაში ყოფნის დროს იმოგზაუროს რაც შეიძლება ცოტა, რამა არ გააქარწყლოს იმ სასარგებლო გავლენა, რომელიც იქონია მაზედ ჰაერის გამოცვლამ.

**მასსერუ.** ბურების დარაჯთა რაზმი იუწყება, რომ ინგლისის ჯარი მიელაშქრება ვეპერენის გასანთავისუფლებლად. ბურების უმრავლესობა თხოულობს, როგორც ისმის, ვეპერენს ალყა შემოხსნან, მაგრამ ამის წინააღმდეგია გენერალი ოლივიე.

**ბეირა.** აქ მოვიდა სამი გემი, რომლებშიაც ისხდნენ ავსტრალიელი ბუშმენები.

**ტანჟერი.** ტუატუსა და იგლისის დაჭერამ საფრანგეთის ჯარების მიერ მეტად ააღელვა მაროკოს ოფიციალური წრეები. აქ მოვიდნენ წარჩინებულნი თანამდებობის პირნი ფორმალურის პროტესტის გამოსაცხადებლად. შიშობენ, რომ არ მოისპოს ვაჭრობა ტაფილეტთან და მის მაგიერ არ გადვიდეს ალჟირში, რადგანაც ეს ძალიან ავნებს მაროკოს ხაზინას.

**პარიზი.** (დამატება 4 აპრილს დეპეშისა). რუსეთის განყოფილების უმთავრეს დარბაზში გამოფენილია მშვენიერი რუკა, გაკეთებული მარმარილოდან და ძვირფას თვლებიდან. რუქა საჩუქარია ხელმწიფე იმპერატორისა საფრანგეთის მთავრობისათვის. თავადმა ურუსოვმა გამოსთქვა, როგორის გრძნობიერის სიტყვით ბრძანა იმპერატორმა ამ საჩუქარის გადმოცემა საფრანგეთისათვის. რესპუბლიკის პრეზიდენტმა სთქვა, რომ ის მეტად მოხარულია ხელმწიფე იმპერატორის საჩუქრის მიღებით; მთელი ერიც ამგვარივე გრძნობით მიიღებს ამ საჩუქარს. შემდეგ ლუბე შევიდა «რუსეთის სოფელში», სადაც ქ.ბ-ნ იაკუნჩიკოვისამ მიართვა მას, დიდის მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულისაგან, პურ-მარილი. ლუბემ მადლობა გადაუხადა ქ.ბ-ნ იაკუნჩიკოვისას და სთხოვა გადასცეს დიდ-მთავრინას მისი მადლობა და პატივისცემის გამოცხადება.

**ბერლინი.** ცნობა, ვითომც ლაგო-მაჯიორეზე მყოფმა სტატს-სეკრეტარმა ბიულოვმა მიიღო ბურების საგანგებო მისსია, სიმართლეს მოკლებულად უნდა ჩაითვალოს. ზოგი გაზეთები ამტკიცებენ, რომ, რადგანაც ინგლისმა უარი განაცხადა შუამავლობაზე, ძნელია, ჯავიგოთ, რათ მიდის ბერლინში ბურების მისსია.

**ჯიბუტი** მაჰდის ჯარი გაიქცაოგადენს, დამარცხებული მენელიკის მიერ გაგზავნილ აბაშელთა ჯარებით. უკანასკნელნი, გამარჯვების შემდეგ, დაბრუნდნენ ხარრარში. რელიგიური ბრძოლა დასრულდა.

**პეტერბურგის ბირჟა 4 აპრილს.**

| | მყიდველისა მ. კ. | გამყიდველისა მ. კ. | გაყიდულისა მ. კ. |
|---|---|---|---|
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $214\frac{1}{2}$ |
| $3\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . | 91 „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $97\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 „ | — „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე ბანკისა | — „ | — „ | $89\frac{3}{8}$ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | $98\frac{1}{2}$ | — „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე საზოგადოებისა , . , . | — „ | 91 „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $297\frac{1}{2}$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $258\frac{1}{4}$ |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

## გამოსადეგი ცნობანი

### საკალენდრო ცნობები

**ხუთშაბათი,** 6 აპრილი; ახალი სტილით 19 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 269 დღე. მთვარის მე-17 დღე დიდი მარხვის ორმოც-და-მეექვსე დღე. დიდი ხუთშაბათი. ხსენება წმიდა კირილესი და მეთოდისა, სლავთა განმანათლებელისა.

**პარასკევი,** 7 აპრილი; ახალი სტილით 20 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 268 დღე. მთვარის მე-22 დღე. დიდი პარასკევი. ხსენება ღირსისა გიორგი მიტილენისა, ღირსთა დანიელისა და ნილისა.

**შაბათი,** 8 აპრილი; ახალი სტილით 21 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 267 დღე. მთვარის მე-23 დღე. დიდი შაბათი. ხსენება წმ. მოწამისა, იროდიონისა, ფლეგმონტისა და ერემიასი.

შემდეგი უქმე: 9—16 აპრილი—ქრისტეს აღდგომის დღეები.

შემდეგი უქმე დღეები: დიდი პარასკევი და დიდი შაბათი.

### ნიხრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორცი ძროხისა 1 გ. —10 კ.
სუკი . . . . 1 » —15 კ.
» ცხვრისა . » » —11 კ.
» კამეჩისა. . » » — 5 კ.
» ღორისა. . » » — 8 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).
პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » $3\frac{1}{2}$ »
» » III » » » 3 »
იგივე თონისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » $3\frac{1}{2}$ »
ლავაში ჟკ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: ვოკზალზე,

| | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი მადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | » 25 » |
| № 1—8 | » 50 » | № 5—7 | » — » |
| № 2—8 | » — » | № 6—6 | » 75 » |
| № 3—7 | » 50 » | № 7—6 | » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** საჭიროდ რაცხს გააფრთხილოს მცხოვრებნი, რომ ქ. ტფილისში ისყიდება კვერცხების ანილინური და მინერალური საღებავი (ეგრედ წოდებული ვერცხლისა და ოქროსი), რომელნიც ქალაქის ლაბორატორიამ მავნებლად სცნო.

დამნაშავენი ამ საღებავის ხმარებაში მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში. ნ. (3—3)

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით ამ 1900 წლის 12 მაისს მოხდება

## საჯარო ვაჭრობა

რომელზედაც გაიყიდება ქალაქის (აბესალომოვისეული) ორ-სართულიანი აგარაკი მიწით, ზომით 203 ოთხ-კუთხი საჟენი, დაბა ბორჯომში, ვორონცოვის ქუჩაზედ, პარკის მახლობლად. ვაჭრობა სიტყვიერადაც შეიძლება და წერილობიდაც, დაბეჭდილის კონვერტებით. აგარაკთან ერთად იყიდება მოძრავი ქონებაც: ავეჯეულობა, სასადილო, ჩაისა და სამზარეულოს ჭურჭელი. მიწა აგარაკს მიზომილი აქვს კავკასის ნამესტნიკად ნამყოფის მიერ 1851 წლის 22 დეკემბერს დამტკიცებულ იმ წესების თანახმად, რომელიც ბორჯომში საავარაკო მიწების სარგებლობას შეეხება.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გამგეობის კანცელარიაში გასინჯონ ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, 10-დგან 2 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება 1900 წლის 12 მაისამდე, დილის 12 საათამდე. ამ კონვერტებში უნდა იყოს: ბე 2000 მანეთი, აღნაშნული: სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და ადრესი იმისი, ვინც მამულის ყიდვას აპირობს, აგრეთვე უნდა აღნიშნოს უმაღლესი ფასი. იმათ, ვინც ქალაქს გარეთა სცხოვრობს და ვაჭრობა სურს, პირობანი მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ. (—ნ —2)

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 1900 წლის 14 აპრილს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც მოიჯარადრემ უნდა წარმოადგინოს 600 კუბიკ. საჟ. ქვა და 120 კუბ. საჟ. ქვიშისა ქალაქის ქუჩის რემონტისათვის.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში შეუძლია დაწვრილებითი პირობები განიხილოს ქალაქის გამგეობაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ნ. 3—3

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** საჭიროდ რაცხს აცნობოს ვაჭართ და საჭმელ-სასმელების მწარმოებელთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარით, რომელიც გამოიცა 1898 წ. 27 იანვარს, № 122, აკრძალულია ხმარება ინალინის საღებავისა საჭმელ-სანოვაგის, საკონდიტერო და სხვა ამგვარ პროდუქტების და აგრეთვე ღვინისა და სხვა სასმელების შესაღებად; ნება დართულია ამ საგნისთვის ხმარება მცენარეულ პიგმენტებისა, ხოლო დამნაშავენი ხსენებულ მავნებელ მინერალურ საღებებისა მიცემულ იქნებიან სამართალში ნ. 3—3

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალ-ჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1 | — |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | « | 50 |
| დაბადება და აღზრდა კრუგლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | « | 10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | « | 20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | « | 70 |
| იგივე II ტომი | « | 60 |
| იგივე III ტომი | « | 60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | « | 80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | « | 10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | « | 60 |
| იგივე II ტომი | « | 60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | « | 60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | « | 40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | « | 20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | « | 50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | « | 15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | « | 15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | 20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე მისივე | 1 | 50 |
| სიბრძე ბალავარისა | « | 30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | « | 80 |
| დასტურ-ლამა | « | 10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 | კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 | „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 | „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 | „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 | „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 | „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 | „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 | „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. გ. ყუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Апрѣля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.